



ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო - ადრეული ქმედებების მხარდაჭერის პროექტი

ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის (NBSAP) მომზადების
ხელშეწყობა

ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის ხედვა, მიზნები და
ამოცანები

სტრატეგიის სტრუქტურა



ამოცანა 3-ში მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად, წარმოდგენთ 2050 წლის ეროვნულ ხედვას, 2030 წლამდე მისაღწევი ეროვნული მიზნებისა და ამოცანების ჩამონათვალს შესაბამისი გავლენისა და ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან ერთად და ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის სტრუქტურას.

აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება სიტუაციურ ანალიზს და მასში წარმოდგენილია პრობლემებზე რეაგირების მიზნით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შესაბამისი ინდიკატორების იდენტიფიცირებით, რომელსაც შემდგომში დაეყდნობა სტრატეგიული დოკუმენტი და ლოგიკური ჩარჩო. დოკუმენტში მოცემულია:

1. ბიომრავალფეროვნების ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გასაწერი პოლიტიკის ინტერვენციების მასშტაბი, ინტერვენციების ძირითადი სექტორული პრიორიტეტები, შესაბამისი მიზნები და ამოცანები, რომლებსაც თან ახლავს შესაბამისი გავლენისა და ამოცანის შედეგის ინდიკატორების ნუსხა
2. ასევე მოცემულია ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის სტრუქტურაც.

დოკუმენტი მოიცავს ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს გლობალური მიზნების შესაბამის ეროვნულ მიზნებს. საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი მიზნები თანხვედრაშია და, ამავდროულად, ადაპტირებულია ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს (GBF) გლობალურ მიზნებთან. მიზნები და ამოცანები არის ქმედითი, გაზომვადი და საჭიროების შემთხვევაში მითითებულია გეოგრაფიული არეალი. მითითების გარეშე წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების შემთხვევაში ინტერვენციის გეოგრაფიული არეალი მოიცავს მთელს საქართველოს.

ეროვნული მიზნების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) და ასახულია მთავრობის ერთიანი მიდგომის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული მართვის პრინციპები. დოკუმენტი ასევე მოიცავს “პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილების (20/12/2019 წ.) შესაბამისად განსაზღვრულ პოლიტიკის დოკუმენტის გავლენისა და ამოცანების შედეგების ინდიკატორებს, რომელთა საბაზისო, შუალედური და საბოლოო მაჩვენებლებისა და ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული სხვა დამატებითი ინფორმაცია აღწერილი იქნება თავად სტრატეგიულ დოკუმენტში.

2050 წლისთვის ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის ხედვა

2050 წლისათვის ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის ხედვა ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

„2050 წლისთვის საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, სადაც საზოგადოება ცხოვრობს ბუნებასთან ჰარმონიაში. ბიომრავალფეროვნება აღიარებულია როგორც ეროვნული სიმდიდრე და საერთო ღირებულება, რომელიც დაცულია, აღდგენილია და გონივრულად გამოიყენება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეკოსისტემური სერვისების უწყვეტობა, ჯანსაღი გარემოს მდგრადობა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სარგებელი თითოეული მოქალაქისთვის“

ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ჩარჩო

საუკეთესო პრაქტიკებზე, მათ შორის დიდი ბრიტანეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ჩარჩო გვთავაზობს გლობალური ბიომრავალფეროვნების 23 სამიზნის კლასიფიცირებას ქვევით წარმოდგენილი

ცხრილის სახით, რომელშიც GBF-ის 18 სამიზნე გაერთიანებულია 3 სექტორული პრიორიტეტის მიხედვით, 19-ე არის თავად ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების ფინანსური რესურსი, ხოლო 20-23 სამიზნე ერთიანდება ურთიერთგადამკვეთ საკითხებში. რაც შეეხება GBF-ის მიზნებს, ეროვნულ სტრატეგიაში, ისინი სტრატეგიის დაგეგმვის პრინციპების სახითაა ინტეგრირებული.

სექტორული პრიორიტეტი 1 – ბიომრავალფეროვნების საფრთხეების შემცირება	სექტორული პრიორიტეტი 2 – ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილება მდგრადი სარგებლობის და სარგებლის განაწილების გზით	სექტორული პრიორიტეტი 3 – დანერგვისა და მენისტრინგის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები და საშუალებები
<p>მიზანი 1 - ტერიტორიებისა და საზღვაო აკვატორიის დაგეგმვასა და მართვაში ბიომრავალფეროვნების კომპონენტების ინტეგრირების ხარისხის გაუმჯობესება</p> <p>მიზანი 2 - დაზიანებული ეკოსისტემების აღდგენის პროცესის ეფექტური მართვა</p> <p>მიზანი 3 - დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების კონსერვაციის პროცესის ეფექტური მართვა</p> <p>მიზანი 4 - ა) სახეობათა კარგვისა და გადაშენების შეჩერების პროცესის ეფექტური მართვა ბ) ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების ეფექტური მართვა</p> <p>მიზანი 5 - ველური სახეობებით სარგებლობის, მათი მოპოვებისა და ვაჭრობის მდგრადობისა და უსაფრთხოების გაძლიერება</p> <p>მიზანი 6 - უცხო ინვაზიური სახეობების შემოსვლისა და გავლენის შემცირების პროცესის ეფექტური მართვა</p> <p>მიზანი 7 - ბიომრავალფეროვნებაზე ნარჩენებით და ქიმიური ნივთიერებით დაზინძურების გავლენის შემცირება</p> <p>მიზანი 8 - ბიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შემცირება</p>	<p>მიზანი 9 - ველური სახეობების მდგრადი მართვიდან მიღებული საზოგადოებრივი სარგებლის ზრდა</p> <p>მიზანი 10 - ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და მდგრადი მართვის უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში</p> <p>მიზანი 11 - ადამიანებისათვის ბუნების წვლილის გაზრდა ეკოსისტემური მომსახურებების შენარჩუნებისა და გაძლიერების გზით</p> <p>მიზანი 12 - ურბანულ მწვანე და ლურჯ სივრცეებზე საზოგადოებრივი წვდომის ხარისხის ზრდა, მწვანე სივრცეების და ურბანულ დაგეგმარებაში ბიომრავალფეროვნების კომპონენტების ინტეგრაციის გაუმჯობესებით</p> <p>მიზანი 13 - გენეტიკურ რესურსებზე და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობისა და მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების მხარდაჭერა</p>	<p>მიზანი 14 - ბიომრავალფეროვნების საკითხების სექტორული მენისტრინგის დანერგვა და გატარება დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე</p> <p>მიზანი 15 - კერძო სექტორში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკებისა და უარყოფითი ზეგავლენის შეფასების პრაქტიკების გაუმჯობესება</p> <p>მიზანი 16 - მდგრადი მოხმარების არჩევანის ხელშეწყობა ბიომრავალფეროვნების კარგვის, ნარჩენებისა და ჭარბი მოხმარების შესამცირებლად</p> <p>მიზანი 17 - გენეტიკური მრავალფეროვნებისა და ბიოუსაფრთხოების დაცვის პროცესის ეფექტური მართვა</p> <p>მიზანი 18 - ბიომრავალფეროვნებისთვის საზიანო სუბსიდიების შემცირება და სასარგებლო ზომების გაძლიერება</p>
ურთიერთგადამკვეთი საკითხების მართვა		



<p>ეროვნული მიზანი 1</p>	<p>ქვეყნის ტერიტორიის (ხმელეთისა და საზღვაო აკვატორიის) დაგეგმვასა და მართვაში ბიომრავალფეროვნების კომპონენტების ინტეგრირების გაუმჯობესება ბიომრავალფეროვნების კარგვის შესამცირებლად</p> <p>გავლენის ინდიკატორი - - ხმელეთისა და საზღვაო აკვატორიის წილი, რომლის სივრცითი დაგეგმარება ითვალისწინებს ბიომრავალფეროვნების კომპონენტებს</p>	
<p>ამოცანა 1.1</p>	<p>თანამონაწილეობით პრინციპებზე დაფუძნებული, ინტეგრირებული და ბიომრავალფეროვნებაზე ორიენტირებული სივრცითი დაგეგმვის უზრუნველსაყოფად სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა</p>	<p>ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოში გათვალისწინებულია სივრცითი დაგეგმარების კომპონენტები და ინსტრუმენტები (ეკოლოგიური დერეფნების სამართლებრივი სტატუსი, ლანდშაფტური დაგეგმარების კომპონენტი და ა.შ.)</p>
<p>ამოცანა 1.2</p>	<p>ეკოსისტემების ინტეგრირებული და მდგრადი მართვის პრინციპების ასახვა ქვეყნის სივრცით განვითარებასა და დაგეგმარებაში</p>	<p>ქვეყნის სივრცით განვითარებასა და დაგეგმარების სიტემაში ბიომრავალფეროვნების კომპონენტის ინტეგრაციის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ინსტიტუციური მიზნები</p>		
<p>ამოცანა 1.3</p>	<p>ყველა დონის სივრცითი დაგეგმარების პროცესში ჩართული უწყებების ადამიანური რესურსების გაძლიერება თანამონაწილეობით პრინციპებზე დაფუძნებული, ინტეგრირებული და ბიომრავალფეროვნებაზე ორიენტირებული სივრცითი დაგეგმვის უზრუნველსაყოფად</p>	<p>ყველა დონის სივრცითი დაგეგმარების პროცესში ჩართულ უწყებებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელთაც გააჩნიათ თანამონაწილეობით პრინციპებზე დაფუძნებული, ინტეგრირებული და ბიომრავალფეროვნებაზე ორიენტირებული სივრცითი დაგეგმვის უნარები</p>
<p>ამოცანა 1.4</p>	<p>ყველა დონის სივრცითი დაგეგმარების გეგმების შემუშავების მხარდაჭერა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ღონისძიებების გათვალისწინებით</p>	<p>ყველა დონის სივრცითი დაგეგმარების გეგმების რაოდენობა, რომელიც ითვალისწინებს ბიომრავალფეროვნების კომპონენტებს</p>
<p>ეროვნული მიზანი 2</p>	<p>დაზიანებული ეკოსისტემების ეფექტური აღდგენა</p> <p>გავლენის ინდიკატორი - - დაზიანებული ეკოსისტემების წილი, რომელზეც მიმდინარეობს აღდგენის ეფექტური ღონისძიებები</p>	
<p>ამოცანა 2.1</p>	<p>დეგრადირებული ეკოსისტემების შეფასების სისტემის გაუმჯობესება</p>	<p>მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების სრულყოფის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი), რომელიც სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიების ეკოლოგიური სტატუსების დადგენისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრად გამოიყენება</p>
<p>ამოცანა 2.2</p>	<p>დეგრადირებული ეკოსისტემების შესახებ მონაცემების განახლების პროცესის მხარდაჭერა სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიების ეკოლოგიური სტატუსების განსაზღვრისა და შემდგომი რეაგირებისთვის</p>	<p>სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიების რაოდენობა, რომელზეც დადგენილია ეკოლოგიური დეგრადაციის მიზეზები და განსაზღვრულია მათი ეკოლოგიური სტატუსი</p> <p>დაზიანებული ეკოსისტემების წილი, რომელიც შეფასებულია განახლებული მეთოდოლოგიის პირობებში</p>



ამოცანა 2.3	დეგრადირებული ეკოსისტემების სისტემური და ინტეგრირებული მართვის უზრუნველყოფა	დაზიანებული ეკოსისტემების წილი, რომელიც ექვემდებარება ეფექტურ, სისტემურ და ინტეგრირებულ მართვას
ამოცანა 2.4	ეკოსისტემების აღდგენის სისტემური და ინტეგრირებული მართვის პროცესის კოორდინირება	ეკოსისტემების აღდგენის სისტემური და ინტეგრირებული მართვის პროცესის კოორდინირების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ინსტიტუციური მიზნები		
ამოცანა 2.5	ეკოსისტემების სისტემური და ინტეგრირებული მართვის ინსტიტუციური მხარდაჭერა	ინსტიტუციური უზარიაზობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ეროვნული მიზანი 3	დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების კონსერვაციის პროცესის ეფექტური მართვა	
	გავლენის ინდიკატორი - დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების ფართობი (ჰა), რომელზეც ხორციელდება ეფექტური საკონსერვაციო ღონისძიებები	
ამოცანა 3.1	საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევებზე რეაგირებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად	ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს თავსებადობის დონე არსებულ გამოწვევებთან მიმართებით ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 3.2	დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული ქსელის ჩამოყალიბება	ეკოდერეფნებისა და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების რაოდენობა, რომელთა მეშვეობითაც ხდება დაცული ტერიტორიების ერთმანეთთან დაკავშირება, ერთიანი ქსელის უზრუნველყოფით იმ დაცული ტერიტორიების წილი, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან
ამოცანა 3.3	საკონსერვაციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება	საკონსერვაციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილე ადგილობრივი მოსახლეობის, ბიზნეს-ოპერატორების და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა რაოდენობა, მონაწილეობის ინტენსივობა, წარმოდგენილ შენიშვნათა და რეკომენდაციათა გათვალისწინების პოტენციალი (დაბალი, საშუალო, მაღალი) და ა.შ.
ამოცანა 3.4	დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების ეფექტური მართვის გაუმჯობესება	დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების მართვის ეფექტურობის ხარისხი (დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 3.5	სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და ბუნებრივ ეკოსისტემებს შორის გარდამავალ სივრცეებში (ეკოტონებში) ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხარისხის გაუმჯობესება	ბიომრავალფეროვნების დაცვაზე ორიენტირებული აგროეკოლოგიური პრაქტიკების წილი ინტენსიური მიწათსარგებლობისა და აგროქიმიური პრაქტიკების, მათ შორის სასუქებისა და პესტიციდების, გამოყენების წილი, სოფლის მეურნეობის სავარგულებსა და ბუნებრივ ეკოსისტემებს შორის გარდამავალ სივრცეებში
ინსტიტუციური დონის ამოცანები		



ამოცანა 3.6	დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების მართვაში ჩართული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ინსტიტუციური გაძლიერება	საკონსერვაციო ტერიტორიების მართვის მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ინსტიტუციური უზარაანობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 3.7	OECMs-ის შესაბამისი დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების იდენტიფიცირების, აღიარებისა და მონიტორინგის ინსტიტუციური ჩარჩოს ინტეგრირება	OECMs-ის ჩარჩოსთან შესაბამისობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 3	დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების სისტემური და ინტეგრირებული მართვის პროცესის კოორდინირება	დაცული და სხვა საკონსერვაციო ტერიტორიების სისტემური და ინტეგრირებული მართვის პროცესის კოორდინირების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ეროვნული მიზანი 4ა)	<p>ა) სახეობათა , მათ შორის სასოფლო-სამეურნეო/მოშინაურებული ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების, კარგვისა და გადაშენების შეჩერების პროცესის ეფექტური მართვა (რეკომენდირებულია მიზანი 4-ის ძველი ვარიანტის დაბრუნება როგორც საბჭოზე ითქვა, აკლია აგრობიომრავალფეროვნება)</p> <p>გავლენის ინდიკატორი - - წითელი ნუსხის ინდექსი</p>	
ამოცანა 4ა.1	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა კარგვისა და გადაშენების შეჩერების საკითხების შესწავლის სამეცნიერო მხარდაჭერა და შეფასების სისტემის გაუმჯობესება	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ შესწავლილ სახეობათა წილი , რომელიც თანხვედრაშია ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან
ამოცანა 4ა.2	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გადარჩენისა და აღდგენის პროცესის ეფექტური მართვა	საფრთხის ქვეშ მყოფი და იშვიათი სახეობების რაოდენობა, გავრცელების არეალი, პოპულაციების დინამიკა, რომელიც ექვემდებარება აღდგენასა და თვითკმარ პოპულაციამდე მიყვანას
ამოცანა 4ა.3	კულტურული მცენარეების ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების (ლენდრასების), მათი ველური მონათესავე სახეობების, შინაური ცხოველების აბორიგენული ჯიშების/პოპულაციებისა და ტრადიციული ფერმენტული პროდუქტების დედოების/საფუკრების, შეფასების სისტემის გაუმჯობესება და კონსერვაციის პროცესის ეფექტური მართვა	<p>განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად იდენტიფირებული შერჩეული საფრთხის ქვეშ მყოფი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და შინაური ცხოველების ადგილობრივი სახეობებისა და ჯიშების სათესლე, სანერგე და სანაშენ მეურნეობების არსებობა, მათი ფერმაზე (on farm) გავრცელების არეალი და პოპულაციების დინამიკა, რომელიც ექვემდებარება აღდგენასა და თვითკმარ პოპულაციამდე მიყვანას მათი ტრადიციული გავრცელების არეალებში</p> <p>კულტურული მცენარეების ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების (ლენდრასების), მათი ველური მონათესავე სახეობების, შინაური ცხოველების აბორიგენული ჯიშების/პოპულაციებისა და ტრადიციული ფერმენტული პროდუქტების დედოების/საფუკრების ex situ კოლექციების ოფიციალური სტატუსის და ინფრასტრუქტურისა და მართვის შესაბამისობის დონე ხანგრძლივი შენახვის პირობებთან</p>

<p>ეროვნული მიზანი 4ბ)</p>	<p>4ბ) ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების ეფექტური მართვა (რეკომენდირებულია მიზანი 4-ის ძველი ვარიანტის დაბრუნება როგორც საბჭოზე ითქვა, აკლია აგრობიომრავალფეროვნება)</p> <p>გავლენის ინდიკატორი - - ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების რაოდენობა და მიყენებული ზიანის მასშტაბი</p>	
<p>ამოცანა 4ბ.1</p>	<p>ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების პრევენციის, დაზღვევის, კომპენსაციის და ეფექტური მართვის საკითხების სამართლებრივი რეგულირება</p>	<p>ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების პრევენციის, დაზღვევის, კომპენსაციის და ეფექტური მართვის საკითხების სამართლებრივი რეგულირების დონე (დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ამოცანა 4ბ.2</p>	<p>ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების პრევენციული მართვის მექანიზმების გაუმჯობესება და მართვის ეფექტურობის გაძლიერება</p>	<p>ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების მართვაში ახალი პრევენციული მექანიზმების ინტეგრირების დონე (დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ამოცანა 4ბ.3</p>	<p>ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტების მართვის მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება</p>	<p>ველური ბუნების წინააღმდეგ არალეგალური ქმედებების სიხშირე და რაოდენობა</p>
<p>ინსტიტუციური დონის ამოცანები</p>		
<p>ამოცანა 4ა.3</p>	<p>ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის რელევანტური მონაცემების შევსება/განახლების პროცესის მხარდაჭერა და სისტემური მართვის პრაქტიკების გაუმჯობესება</p>	<p>ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის რელევანტური მონაცემების წილი <i>მონაცემთა საერთო რაოდენობაში</i>, რომელიც სისტემურად იმართება</p> <p>კულტურული მცენარეების ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების (ლენდრასების), მათი ველური მონათესავე სახეობების, შინაური ცხოველების აბორიგენული ჯიშების/პოპულაციებისა და ტრადიციული ფერმენტული პროდუქტების დედოების/საფუვრების მოწყვლადობის შეფასების დამტკიცებული სისტემის არსებობა და ამ სისტემით შეფასებული სახეობების/ჯიშების რაოდენობა</p> <p>კულტურული მცენარეების ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების (ლენდრასების), მათი ველური მონათესავე სახეობების, შინაური ცხოველების აბორიგენული ჯიშების/პოპულაციებისა და ტრადიციული ფერმენტული პროდუქტების დედოების/საფუვრების დაცვისათვის რელევანტური მონაცემების შევსება/განახლების პროცესის მხარდაჭერის მიმართულებით სურსათის მსოფლიო ორგანიზაციასთან მუშაობის გაძლიერების დონე (დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ამოცანა 4ბ.4</p>	<p>ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის არსებული კონფლიქტების მართვის ინსტიტუციური უნარების გაძლიერება</p>	<p>მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური უნარიანობა (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი) და უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების დონე</p>

<p>ეროვნული მიზანი 5</p>	<p>ველური სახეობებით მდგრადი სარგებლობის, მათი უსაფრთხო მოპოვებისა და ლეგალური ვაჭრობის უზრუნველყოფა</p> <p>გავლენის ინდიკატორი - - სარეწაო ველური სახეობის წილი ბიოლოგიურად მდგრად დონეზე მყოფი სახეობების საერთო მარაგებში</p>	
<p>ამოცანა 5.1</p>	<p>სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის, აღდგენის, მდგრადი სარგებლობისა და სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის, ასევე ნადირობისა და თევზჭერის მართვის საკითხების სამართლებრივი რეგულირება</p>	<p>ველური სახეობებით სარგებლობის, მათი მოპოვებისა და ვაჭრობის, ასევე ნადირობის და თევზჭერის საკითხების მართვის სამართლებრივი რეგულირების დონე (დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ამოცანა 5.2</p>	<p>One Health პრინციპის უზრუნველყოფა როგორც ადამიანის, ისე სხვა სახეობებისა და მთლიანად ეკოსისტემებისთვის ველური სახეობების გამოყენების უსაფრთხოებისასთვის</p>	<p>ველური სახეობების გამოყენების, მოპოვებისა და ვაჭრობის პროცესში პათოგენების შესაძლო გავრცელების, დაავადებების გადადების, ინვაზიური სახეობების გავრცელებს და ბიოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინების დონე</p>
<p>ამოცანა 5.3</p>	<p>ველური სახეობების მდგრადი გამოყენების მხარდაჭერა</p>	<p>ველური ბუნებრივი რესურსების მდგრადი მარაგების რაოდენობა.</p>
<p>ინსტიტუციური დონის ამოცანები</p>		
<p>ამოცანა 5.4</p>	<p>ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური გამძლიერება</p>	<p>სააგენტოსთვის დამატებით მინიჭებული უფლებამოსილებების რაოდენობა და მანდატის გაფართოების მასშტაბი, კვალიფიციური კადრების რაოდენობა</p>
<p>ეროვნული მიზანი 6</p>	<p>უცხო ინვაზიური სახეობების შემოსვლისა და გავლენის შემცირების ეფექტური მართვა</p> <p>გავლენის ინდიკატორი - - უცხო ინვაზიური სახეობების ზეგავლენის მაჩვენებელი</p>	
<p>ამოცანა 6.1</p>	<p>სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ჩარჩოს სრულყოფა</p>	<p>ეროვნული სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ამოცანა 6.2</p>	<p>უცხო ინვაზიური სახეობების, მათი გავრცელების არელებისა და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ მონაცემების შევსების პროცესის მხარდაჭერა</p>	<p>მონაცემების სრულყოფის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ამოცანა 6.3</p>	<p>ადრეული აღმოჩენისა და სწრაფი რეაგირების მექანიზმის (EDRR) ინტეგრირება უცხო ინვაზიური სახეობების მართვაში</p>	<p>უცხო ინვაზიური სახეობების ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბი, რეაგირებადობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი), მათ შორის საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო სასაზღვრო ზონებში, სადაც ინვაზიის რისკი ყველაზე მაღალია</p>
<p>ამოცანა 6.4</p>	<p>აგრო და სატყეო ეკოსისტემებში ინტეგრირებული მავნებლების მართვის (IPM) სისტემებისა და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების მხარდაჭერა</p>	<p>უცხო ინვაზიური სახეობების ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბი, რეაგირებადობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი) აგრო და სატყეო ეკოსისტემებში</p>
<p>ინსტიტუციური ამოცანები</p>		
<p>ამოცანა 6.5</p>	<p>უცხო ინვაზიური სახეობების პრევენციისა და კონტროლის სისტემური და ინტეგრირებული მართვის პროცესის კოორდინირება</p>	<p>უცხო ინვაზიური სახეობების პრევენციისა და კონტროლის სისტემური და ინტეგრირებული მართვის პროცესის კოორდინირების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>

ამოცანა 6.6	უცხო ინვაზიური სახეობების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების ეფექტური მხარდაჭერის მიზნით საჭირო რესურსების გაძლიერება სასაზღვრო გამტარი პუნქტებში	სასაზღვრო გამტარ პუნქტებში დასაქმებულ პირთა კვალიფიცირებულობის დონე
ეროვნული მიზანი 7	ბიომრავალფეროვნებაზე ნარჩენებით, ფიზიკური და ქიმიური ნივთიერებით დაბინძურების შემცირება	
	გავლენის ინდიკატორი -	
	- სანაპირო ეუთროფიკაციის პოტენციალის ინდექსში საქართველოს ადგილი	
	- გარემოში პესტიციდების კონცენტრაციის დონე/აგრეგირებული საერთო გამოყენებული ტოქსიკურობა (ATAT)	
ამოცანა 7.1	გარემოს დაბინძურების შემცირებაზე ორიენტირებული ინტეგრირებული მექანიზმების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებისთვის არასაზიანო დონემდე ნარჩენების შემცირებას	დამატებითი მექანიზმების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებისთვის არასაზიანო დონემდე ნარჩენების შემცირებას
ამოცანა 7.2	სოფლის მეურნეობაში საფრთხის შემცველი პრეპარატების გამოყენების შემცირება	ნუტრიენტების, პესტიციდების წილი სოფლის მეურნეობაში
ამოცანა 7.3	პლასტმასისა და საშიში ნარჩენების დაბინძურების პრევენცია	პლასტმასისა და საშიში ნარჩენების წილი; ტროფიკული ჯაჭვების რღვევისა და მიკროპლასტიკის დაგროვების დონე
ამოცანა 7.4	წყლის რესურსების ინტეგრირებული და სააუზო მართვის პრინციპებზე დაყრდნობით მართვის პრაქტიკების გავრცელების მასშტაბების გაფართოება	წყლის ფართობი, რომელიც ინტეგრირებული და სააუზო მართვის პრინციპებზე დაყრდნობით იმართება
ამოცანა 7.5	ატმოსფერული დაბინძურების ეკოსისტემებზე ზეგავლენის შემცირება	ატმოსფერული დაბინძურების კომპონენტების - გოგირდის დიოქსიდის (SO ₂), აზოტის ოქსიდების (NO _x) და მტვრის ნაწილაკების შემცველობა
	ინსტიტუციური ამოცანები	
ამოცანა 7.6	ბიომრავალფეროვნებაზე ნარჩენებით და ქიმიური ნივთიერებით დაბინძურების შემცირების მიმართულებით დარგთაშორისი და სექტორალური კოორდინაციის ხარისხის ამაღლება	ბიომრავალფეროვნებაზე ნარჩენებით და ქიმიური ნივთიერებით დაბინძურების შემცირების მიმართულებით დარგთაშორისი და სექტორალური კოორდინაციის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 7.7	მონაცემების შევსების, განახლებისა და გაზიარების შესაძლებლობების მხარდაჭერა	მონაცემების სრულყოფის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი), რომელიც ექვემდებარება შევსებას, განახლებასა და გაზიარებას შესაბამის უწყებებს შორის და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის
ეროვნული მიზანი 8	ბიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შერბილება	
	გავლენის ინდიკატორი -	
	- კლიმატური ცვლილებების ფონზე დაზიანებული და დეგრადირებული ჰაბიტატების ფართობი (ჰა)	
	- დეგრადირებული ჰაბიტატების აღდგენილი ფართობების წილი (ჰა)	

ამოცანა 8.1	MRV მონიტიტორინგის, ანგარიშგების და ვერიფიკაციის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ტყის, აგროეკოსისტემების, წყლისა და სანაპირო ჰაბიტატების მდგომარეობის კლიმატურ რისკებზე ეფექტურ რეაგირებას	MRV მონიტიტორინგის, ანგარიშგების და ვერიფიკაციის სისტემის შესაბამისობის დონე საერთაშორისო სტანდარტებთან (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 8.2	„ბუნებაზე დაფუძნებული“ გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესის ეფექტურობის ხარისხის გაუმჯობესება	დასახული სამიზნეების შესრულების დონე
ამოცანა 8.3	მონაცემების შევსების, განახლებისა და გაზიარების შესაძლებლობებისა და მონიტიტორინგის სისტემის სრულყოფის მხარდაჭერა	მონაცემების სრულყოფის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი), რომელიც ექვემდებარება შევსებას, განახლებასა და გაზიარებას შესაბამის უწყებებს შორის და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის
ამოცანა 8.4	შერბილების, ადაპტაციისა და მედეგობის მექანიზმების გაძლიერება	კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენის პარამეტრების დინამიკა
ინსტიტუციური დონის ამოცანები		
ამოცანა 8.5	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება, სექტორებსა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად	ბიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შესამცირებლად სექტორებსა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ეროვნული მიზანი 9	ველური სახეობების მდგრადი მართვიდან მიღებული საზოგადოებრივი სარგებლის ზრდა	
	გავლენის ინდიკატორი - - ველური სახეობების მდგრადი გამოყენების საფუძველზე მიღებული ფინანსური და არაფინანსური სარგებლის მასშტაბი	
ამოცანა 9.1	მდგრადი მართვის პრინციპების ინტეგრირება ველური სახეობების მართვაში	ველური სახეობების მდგრადი მართვის პრინციპების ინტეგრირების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 9.2	ველური სახეობების მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის, კერძო სექტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესაძლებლობების გაძლიერება	გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილე ადგილობრივი მოსახლეობის, ბიზნეს-ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების რაოდენობა, მონაწილეობის ინტენსივობა, წარმოდგენილ შენიშვნათა და რეკომენდაციათა გათვალისწინების პოტენციალი (დაბალი, საშუალო, მაღალი) და ა.შ.
ამოცანა 9.3	ველური სახეობების უკანონო გამოყენების პრევენცია და მასზე ეფექტური რეაგირება	ბრაკონიერობის შემთხვევათა რაოდენობა/სიმძიმის ხარისხი
ინსტიტუციური ამოცანები		
ამოცანა 9.4	ველური სახეობების მდგრადი მართვის მიმართულებით დარგთაშორისი და სექტორალური კოორდინაციის ხარისხის ამაღლება	ველური სახეობების მდგრადი მართვის მიმართულებით დარგთაშორისი და სექტორალური კოორდინაციის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 9.5	მონაცემების შევსების, განახლებისა და გაზიარების შესაძლებლობების მხარდაჭერა	მონაცემების სრულყოფის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი), რომელიც ექვემდებარება შევსებას, განახლებასა და გაზიარებას შესაბამის უწყებებს შორის და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის



<p>ეროვნული მიზანი 10</p>	<p>ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და მდგრადი მართვის უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში</p> <p>გავლენის ინდიკატორი - - მდგრადი მართვის საფუძველზე მიღწეული პროგრესის მასშტაბი სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში</p>	
<p>ამოცანა 10.1</p>	<p>სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში მდგრადი მართვის კომპონენტების ინტეგრირების მხარდაჭერა</p>	<p>მდგრადი მართვის ინტეგრირების დონე სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ამოცანა 10.2</p>	<p>ბიომრავალფეროვნების ხელშემწყობი პრაქტიკების გაფართოება სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში</p>	<p>მექანიზმების რაოდენობა და დაფარვის მასშტაბი (3ა)</p>
<p>ამოცანა 10.3</p>	<p>ბიომრავალფეროვნების და მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში ჩართული ბიზნეს-ოპერატორების ცოდნისა და შესაბამისი ტექნიკური უნარების ამაღლება</p>	<p>ბიომრავალფეროვნების და მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში ჩართული ბიზნეს-ოპერატორების ცოდნისა და შესაბამისი ტექნიკური უნარების პროგრესის მასშტაბი</p>
<p>ამოცანა 10.4</p>	<p>ბიომრავალფეროვნების და მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება</p>	<p>საზოგადოებრივი ცნობიერების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>
<p>ინსტიტუციური ამოცანები</p>		
<p>ამოცანა 10.5</p>	<p>ექსტენციის შესაძლებლობებისა და შესაბამისი ადამიანური რესურსების გაძლიერება</p>	<p>კვალიფიციური ექსტენციონისტების რაოდენობა, გეოგრაფიული დაფარვის მასშტაბი, რომელთაც აქვთ ტექნიკური კომპეტენციები მდგრადი მართვის, ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის, აგროეკოლოგიური ტექნოლოგიების, ადგილობრივი ჯიშების მოყვანა/მოშენებისა და ბიომრავალფეროვნებაზე დაფუძნებული პრაქტიკების ეფექტურად განხორციელებისთვის.</p>
<p>ამოცანა 10.6</p>	<p>მონაცემების შევსება/განახლების პროცესის მხარდაჭერა, განსაკუთრებით თევზისა და წყლის სხვა რესურსების მარაგების შესახებ</p>	<p>მონაცემების სრულყოფის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი) სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, თევზჭერასა და სატყეო სექტორში</p>
<p>ეროვნული მიზანი 11</p>	<p>ადამიანებისათვის ბუნების წვლილის გაზრდა ეკოსისტემური მომსახურებების შენარჩუნებისა და გაძლიერების გზით</p> <p>გავლენის ინდიკატორი - ეკოსისტემური მომსახურებების ის წილი, რომელიც შენარჩუნებული და აღდგენილია</p>	
<p>ამოცანა 11.1</p>	<p>სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა</p>	<p>ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)</p>

ამოცანა 11.2	ეკოსისტემური მომსახურებების აღრიცხვისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესება	მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების სრულყოფის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი), რომელიც ეკოსისტემური მომსახურებების აღრიცხვისა და შეფასებისთვის გამოიყენება
ამოცანა 11.3	ეკოსისტემური მომსახურებების აღრიცხვისა და შეფასების ინტეგრირება ქვეყანაში განსახორციელებელ პროგრამებსა და პროექტებში	პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა, რომელშიც ინტეგრირებულია ეკოსისტემური მომსახურებების აღრიცხვა/შეფასების სისტემა
ამოცანა 11.4	ეკოსისტემური მომსახურებების ინტეგრირება სოფლის მეურნეობაში	სოფლის მეურნეობის დარგები, რომელშიც ინტეგრირებულია ეკოსისტემური მომსახურებების აღრიცხვა/შეფასების სისტემა
ინსტიტუციური ამოცანები		
ამოცანა 11.5	დარგთაშორისი და სექტორალური კოორდინაციის ხარისხის ამაღლება ეკოსისტემური მომსახურებების შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის	დარგთაშორისი და სექტორალური კოორდინაციის დონე ეკოსისტემური მომსახურებების შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 11.6	ეკოსისტემური მომსახურებების მეინსტრიმინგის დანერგვა და შემდგომი გაუმჯობესება	ეკოსისტემური მომსახურებების შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის პროცესში მონაწილე ინსტიტუციებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა
ეროვნული მიზანი 12	ურბანულ მწვანე და ლურჯ სივრცეებზე საზოგადოებრივი წვდომის და ურბანულ დაგეგმარებაში ბიომრავალფეროვნების კომპონენტების ინტეგრაცია	
	გავლენის ინდიკატორი - - ურბანულ სივრცეებში არსებული განაშენიანებული ფართობის საშუალო წილი, რომელიც წარმოადგენს საერთო სარგებლობისთვის განკუთვნილ მწვანე/ლურჯ სივრცეს	
ამოცანა 12.1	მწვანე და ლურჯი სივრცეების დაგეგმვაში, მართვასა და მონიტორინგში ბიომრავალფეროვნების კომპონენტების გათვალისწინების ხარისხის გაუმჯობესება	ბიომრავალფეროვნების კომპონენტების გათვალისწინების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 12.2	ურბანული მწვანე და ლურჯი სივრცეების შეფასება ბიომრავალფეროვნების ინდიკატორებზე დაყრდნობით	ეკოსისტემური ფუნქციების რაოდენობა და ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის დონე
ამოცანა 12.3	ურბანული მწვანე და ლურჯი სივრცეებზე წვდომისა და სარგებლიანობის ზრდის შესაძლებლობების გაძლიერება	მოსახლეობის წილი, რომელთაც აქვთ წვდომა ღია სივრცეებთან 400 მეტრით ფეხით სავალ მანძილზე ურბანული მწვანე და ლურჯი სივრცეებიდან მიღებული ეკოსისტემური სარგებლის დონე.
ინსტიტუციური ამოცანები		
ამოცანა 12.4	მუნიციპალიტეტების რესურსების გაძლიერება	მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური უნარიანობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ეროვნული მიზანი 13	გენეტიკურ რესურსებზე და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობისა და მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების მხარდაჭერა	

	გავლენის ინდიკატორი - - გენეტიკურ რესურსებზე და მათთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობის დონე - მიღებული არაფულადი და ფულადი სარგებელი, მისი მასშტაბი და მოცულობა	
ამოცანა 13.1	გენეტიკური რესურსების, მათთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნისა და ამ რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანასწორი განაწილების (ABS) მექანიზმების ინტეგრირება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში	ABS მექანიზმების ინტეგრირების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 13.2	გენეტიკური ბაზის სრულყოფა და გავრცელება	გენეტიკური რესურსების წილი, რომელიც ბაზაშია ასახული
ამოცანა 13.3	ტრადიციული ცოდნის კარგვის შეჩება და მასზე ხელმისაწვდომობისა და ამ რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის ზრდის შესაძლებლობების გაძლიერება	ტრადიციული ცოდნის გავრცელების საფუძველზე მიღებული სარგებლის ფინანსური მოცულობა
ინსტიტუციური ამოცანები		
ამოცანა 13.4	გენეტიკურ რესურსებზე წვდომის, სარგებლის განაწილების სისტემისა და ციფრული გენეტიკური ინფორმაციის პრინციპების სრულფასოვანად დასაწერად საჭირო შესაბამისი ადამიანური და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება	კვალიფიციური ადამიანების რაოდენობა ტექნიკური რესურსების შესაბამისობის დონე არსებულ საჭიროებებთან მიმართებით
ეროვნული მიზანი 14	ბიომრავალფეროვნების საკითხების სექტორული მენსტრიმინგი დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე გავლენის ინდიკატორი - - ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების საკითხების მენსტრიმინგის დონე.	
ამოცანა 14.1	ბიომრავალფეროვნების კომპონენტის ინტეგრაციის ხარისხის ზრდა ყველა შესაბამისი ეროვნული, სექტორული და მულტისექტორული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების პროცესში	პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების პროცესში ბიომრავალფეროვნების კომპონენტის ინტეგრაციის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 14.2	ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ეკონომიკური ფასეულობების სრულფასოვანი ინტეგრაცია ეროვნული აღრიცხვისა და სტატისტიკის სისტემებში	ეროვნული აღრიცხვისა და სტატისტიკის სისტემებში ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ეკონომიკური ფასეულობების ინტეგრაციის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 14.3	გზმ-სა და სგმ-ში გარემოსდაცვითი მმართველობის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხარისხის ზრდით	გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეებისა და მოქალაქეების მონაწილეობის მასშტაბი გზმ-სა და სგმ-ში

ამოცანა 14.4	სოფლის მეურნეობის სფეროში გარემოსდაცვითი მმართველობის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხარისხის ზრდით	სოფლის მეურნეობის სფეროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეებისა და მოქალაქეების მონაწილეობის მასშტაბი
ინსტიტუციური ამოცანები		
ამოცანა 14.5	ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება სექტორებს შორის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად	კოორდინაციის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ეროვნული მიზანი 15	კერძო სექტორში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკებისა და უარყოფითი ზეგავლენის შეფასების პრაქტიკების გაუმჯობესება	
	გავლენის ინდიკატორი - - კომპანიების რაოდენობა, რომლებიც ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკებისა და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ ანგარიშგებას აწარმოებენ	
ამოცანა 15.1	ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკებისა და უარყოფითი ზეგავლენის შეფასების სისტემის ჩამოყალიბება	ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკებისა და უარყოფითი ზეგავლენის შეფასების სისტემის შესაბამისობის დონე საერთაშორისო სტანდარტებთან (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 15.2	ბიომრავალფეროვნების მეინსტრიმინგი და ბუნებაზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრირების მხარდაჭერა ბიზნეს პროცესებში	ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური მომსახურებების შენარჩუნების პროცესში მონაწილე ბიზნეს-ოპერატორების წილი
ამოცანა 15.3	ფინანსურ სექტორში ბიომრავალფეროვნების რისკების ინტეგრირების ხარისხის ზრდა	მწვანე ტაქსონომიაზე დაფუძნებული საბანკო სესხების გამცემი ბანკების რაოდენობა, დაფინანსებული პროექტებისა და სესხების რაოდენობა და ფინანსური მოცულობა
ეროვნული მიზანი 16	მდგრადი მოხმარების არჩევანის ხელშეწყობა ბიომრავალფეროვნების კარგის, ნარჩენებისა და ჭარბი მოხმარების შესამცირებლად	
	გავლენის ინდიკატორი - - FAO-ს სურსათის დანაკარგების ინდექსში საქართველოს ადგილის დინამიკა	
ამოცანა 16.1	სურსათის მიწოდების ჯაჭვში ბიომრავალფეროვნების კარგის, ნარჩენებისა და ჭარბი მოხმარების შემცირების კომპონენტების ინტეგრირება	ბიომრავალფეროვნების კარგის, ნარჩენებისა და ჭარბი მოხმარების შემცირების კომპონენტების ინტეგრირების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 16.2	მომხმარებლის ქცევის ცვლილება მდგრადი მოხმარების არჩევანის სასარგებლოდ	მომხმარებლებში ბიომრავალფეროვნების კარგის, ნარჩენებისა და ჭარბი მოხმარების შემცირებისკენ მიმართული პრაქტიკების გამოყენების სიხშირე
ამოცანა 16.3	რესურსების ეფექტური გამოყენებისა და ცირკულარული ეკონომიკის მექანიზმების მხარდაჭერა	მექანიზმების რაოდენობა, რომელიც მიმართულია ბიომრავალფეროვნების კარგის, ნარჩენებისა და ჭარბი მოხმარების შემცირებისკენ

ინსტიტუციური ამოცანები		
ამოცანა 1	კოორდინაციის ხარისხის გაძლიერება და ინსტიტუციური რესურსების გაუმჯობესება	კოორდინაციისა და ინსტიტუციური უნარიანობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ეროვნული მიზანი 17	გენეტიკური მრავალფეროვნებისა და ბიოუსაფრთხოების დაცვის პროცესის ეფექტური მართვა (დაუბრუნდეს ძველ ვარიანტს ანუ მე-4 მიზანში გენეტიკური მრავალფეროვნების დაბრუნება)	
	გავლენის ინდიკატორი - - გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) შემოტანის, წარმოებისა და გამოყენების წესების ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)	
ამოცანა 17.1	გენეტიკური მრავალფეროვნების და ბიოუსაფრთხოების დაცვის მიზნით კვლევების მასშტაბის გაფართოვება	ლაბორატორიების რაოდენობა და ტექნიკური აღჭურვილობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დონე, რეგიონულ დონეზე წარმომადგენლობის მასშტაბი
ამოცანა 17.2	გენეტიკური მრავალფეროვნების, ბიოუსაფრთხოების სტანდარტებისა და გენომოდირებული ორგანიზმების შესაძლო ზემოქმედების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	საზოგადოებრივი ცნობიერების დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ამოცანა 17.3	საკანონმდებლო ხარვეზებისა დაძლევა	კანონმდებლობაში ურთიერთსაწინააღმდეგო რეგულაციების რაოდენობა
ამოცანა 17.4	გენეტიკური რესურსების შენარჩუნებისა და დაცვის გაძლიერება in situ და ex situ კონსერვაციისა და მდგრადი მართვის პრაქტიკების გამოყენებით	გენეტიკური რესურსების/მარაგების წილი, რომელზეც ვრცელდება საკონსერვაციო და აღდგენითი ღონისძიებები
ინსტიტუციური ამოცანები		
ამოცანა 17.5	ბიოსაფრთხოების საკითხებზე კოორდინაციის ხარისხის გაძლიერება და ინსტიტუციური რესურსების გაუმჯობესება	კოორდინაციის და ინსტიტუციური უნარიანობის დონე (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ეროვნული მიზანი 18	ბიომრავალფეროვნებისთვის საზიანო სუბსიდიების შემცირება და სასარგებლო ზომების გაძლიერება	
	გავლენის ინდიკატორი - - ბიომრავალფეროვნებისთვის საზიანო სუბსიდიებისა და სხვა სტიმულების რაოდენობა, რომლებიც ექვემდებარება აღმოფხვრას, თანდათანობით გაუქმებასა და რეფორმირებას - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით არსებული დადებითი სტიმულების რაოდენობა, მასშტაბი, შეთავაზების ინტენსივობა	
ამოცანა 18.1	ბიომრავალფეროვნებისთვის ზიანის შემცველი სტიმულების (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური) გამოვლენა სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ პროგრამებსა და პროექტებში	ბიომრავალფეროვნებისთვის საზიანო ეფექტების მქონე პროგრამებისა და პროექტების იდენტიფიცირების მასშტაბი

		<p>ბიომრავალფეროვნებისთვის პოზიტიური ეფექტების მქონე პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა, რომელიც გასაძლიერებელია</p> <p>სუბსიდიების რაოდენობა/გამოყოფილი თანხა, რომელსაც ბიომრავალფეროვნებაზე ნეგატიური ზეგავლენა გააჩნია</p>
ამოცანა 18.2	ბიომრავალფეროვნებისთვის ზიანის შემცველი სტიმულების ეტაპობრივი შემცირება	ბიომრავალფეროვნებისთვის ზიანის შემცველი სტიმულების (როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური) რაოდენობა, რომელიც ექვემდებარება გადახედვას - გაუქმებას, მიზნობრიობის შეცვლას და ა.შ.
ამოცანა 18.3	ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე ორიენტირებული არსებული მექანიზმების გაძლიერება და დამატებითი სტიმულების ეტაპობრივი ინტეგრირება	<p>ბიომრავალფეროვნებისთვის პოზიტიური ეფექტების მქონე პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა, რომელიც გაძლიერდა (ფინანსები, მასშტაბი მოქმედების ან ბენეფიციარების)</p> <p>ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობაზე ორიენტირებული დამატებითი სტიმულების (როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური) რაოდენობა</p>
ინსტიტუციური ამოცანები		
ამოცანა 18.4	ადამიანური რესურსების გაძლიერება	თანამშრომელთა რაოდენობა, რომელსაც გააჩნია ბიომრავალფეროვნებისთვის საზიანო/სასარგებლო ეფექტების იდენტიფიცირებისა და ზიანის/სარგებლის შეფასების უნარი
ამოცანა 18.5	ინსტიტუციური პასუხისმგებლობისა და კოორდინაციის ხარისხის გაძლიერება სახელმწიფო მიერ შეთავაზებული ეკონომიკური ზრდის სტიმულების პროცესში ბიომრავალფეროვნების კომპონენტის გასათვალისწინებლად	კოორდინაციის დონე სახელმწიფო მიერ შეთავაზებული ეკონომიკური ზრდის სტიმულების პროცესში ბიომრავალფეროვნების კომპონენტის გასათვალისწინებლად (კრიტიკული, დაბალი, საშუალო, მაღალი)
ურთიერთკვეთი საკითხების ეფექტური მართვა		
ამოცანა 1	ბიომრავალფეროვნების მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	საზოგადოებრივი ცნობიერების დონე; საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებში საზოგადოების წილი, რომელიც ბიომრავალფეროვნების დაცვას უმნიშვნელოვანეს პრობლემათა ჩამონათვალში ასახელებს
ამოცანა 2	ბიომრავალფეროვნების მიმართულების საჯარო უწყებების ინსტიტუციური გაძლიერება	ბიომრავალფეროვნების მიმართულებით ინსტიტუციური რეაგირებადობისა და კოორდინირების დონე
ამოცანა 3	ფინანსური რესურსების მოზიდვა და მხარდაჭერა	ფინანსური რესურსების შესაბამისობის დონე სტრატეგიით გათვალისწინებული მიზანებისა და ამოცანების მხარდასაჭერად



ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის სტრუქტურა შედეგი სახითაა წარმოდგენილი:

ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის სტრუქტურა
შესავალი
NBSAP-3 შემუშავების საჭიროება
NBSAP-3 შემუშავების პროცესი და ჩართული მხარეები
არსებული პოლიტიკის დოკუმენტები, რომლების საფუძველზეც მოხდა NBSAP-3 შემუშავება (მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა უკვე დამტკიცებულ პოლიტიკის დოკუმენტებთან -)
საერთაშორისო ვალდებულებები და სტანდარტები, რომლებთან შესაბამისობაც არის უზრუნველყოფილი NBSAP-3 მეშვეობით
საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილები/პრაქტიკები, რომლის მიხედვითაც მოხდა NBSAP-3 შემუშავება
სიტუაციური ანალიზი
სიტუაციის ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგია
სექტორში გატარებული რეფორმები/აქტივობები და მათი შედეგები
NBSAP-1 და NBSAP-2 შეფასების ძირითადი მიგნებები
სხვა პოლიტიკის დოკუმენტებში აღებული ვალდებულებები მომიჯნავე სექტორში
ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი ფაქტორები
ძირითადი პრობლემების უარყოფითი შედეგები
NBSAP-3-ის სტრატეგიული ნაწილი
2050 წლის ეროვნული ხედვა
NBSAP-3 სექტორული პრიორიტეტები და მათი განსაზღვრის საფუძველები
NBSAP-3 სტრატეგიული მიზნები და გავლენის ინდიკატორები
NBSAP-3 ამოცანები და ამოცანის შედეგის ინდიკატორები
სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა ბიომრავალფეროვნების გლობალურ ჩარჩოსა და SDG მიზნებთან
NBSAP-3-ის განხორციელება
მაკრორდინირებული ორგანო, მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები, შეკრების პერიოდულობა და განხორციელების პროცესის მართვის ინსტრუმენტები
დაინტერესებული მხარეების განხორციელების პროცესში ჩართვის მექანიზმები და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის არხები
საჭირო ფინანსური რესურსები, დაფინანსების წყაროები და საპროგნოზო ბიუჯეტი
ცვლილებების ასახვის საჭიროებები და პროცედურები
NBSAP-3-ის მონიტორინგი და შეფასება
მონიტორინგისა და შეფასების კალენდარი
ანგარიშგებასა და მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყებები
ანგარიშების გამოქვეყნების მოდალობები და NBSAP-ები შესრულების გამჭვირვალობა
მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები
დანართები
ლოგიკური ჩარჩო
მონიტორინგის ჩარჩოს ეროვნული ინდიკატორები და მათი შეფასების მეთოდოლოგიები (ინდიკატორების პასპორტი)



საჯარო კონსულტაციების ანგარიში
სამოქმედო გეგმა
ბიუჯეტირების ინსტრუმენტი